Only one index, the Global Competitiveness

Index, takes into account the audit institution, and the Global Competitiveness Index (GCI) includes the following indicators:

- Enabling Environment: institutions (Pillar 1. Institution), infrastructure (Pillar 2. Infrastructure), information technology (Pillar 3. ICT adoption), macroeconomic stability (Pillar 4. Macroeconomic Stability);
- Human Capital: health (Pillar 5. Health), skills (Pillar 6. Skills);
- Markets: product markets (Pillar 7. Product Market), labor market (Pillar 8. Labor Market), financial system (Pillar 9. Financial System), market size (Pillar 10. Market Size);
- Innovation Ecosystems: Pillar 11. Business Dynamism, Pillar 12. Innovation capability.

For the purposes of sustainable development of Ukraine, goal 9.5 is provided "To create a financial and institutional system (innovation infrastructure) that will ensure the development of research and scientific and technical (experimental) developments". As part of goal 16.7 "To increase the efficiency of public authorities and local self-government", sub-goal 16.7.1. is provided "Ukraine's place in the Global Competitiveness Report ranking under the sub-index «Institutions (state and public institutions)», which should have to be not lower than 104th place in 2019 [15].

In 2019 Ukraine received the 85th place and Georgia – 74th places out of 141 countries according to the Global Competitiveness Index (GCI) [13] (Fig. 2).

According to the criterion of «institution», Ukraine has one of the lowest places – 104. The lowest place Ukraine received in such an indicator as macroeconomic stability - 133. Georgia's rank, on the other hand, is relatively high on this indicator - 43. The indicator "Strength of auditing and accounting standards" is presented in this category: Ukraine is on the 118th place, Georgia is on the 88th.




Figure 2. Ukraine's and Georgia's places (among 141 countries) according to the Global Competitiveness Index (GCI)

Source: compiled by the authors using [13]

The indicator “Strength of auditing and accounting standards” is among the 12 indicators according to which Ukraine failed to get into the first hundred countries (Fig. 3).

The indicator “Strength of auditing and accounting standards” is among the 8 indicators according to which Georgia could not get into the top eighty countries (Fig. 4).

This position of Ukraine, given the achievements in the field of auditing in the context of the application of International Standards and compliance with European standards, need further research. According to the methodology,

the assessment of audit and reporting standards is based on two indicators: the perception of business leaders of the strength of audit and accounting standards, as well as how employee costs are considered: as costs or as investments. The evaluation is done by answering two questions: «How strong are auditing and reporting standards in your country?» (1 - extremely weak; 7 - extremely strong); In your country, how do companies perceive the cost of human capital? ” (1 = as costs that need to be minimized; 7 = as key investments) [14, p. 47, 64]. Thus, indicators




Figure 3. Indicators of Ukraine with the lowest rating from the category "Institutions" in the Global Competitiveness Index (GCI)

Source: compiled by the authors using [13]




Figure 4. Indicators of Georgia with the lowest rating from the category "Institutions" in the Global Competitiveness Index (GCI)

Source: compiled by the authors using [13]

and issues are incomparable and offset the achievements in each of the areas.

Impact of the audit and “gap in expectations”.

However, such a low assessment of the impact of auditing standards is a clear consequence of the “gap in expectations” that persists and means a discrepancy between the audit results presented by auditors and the expectations of users of financial statements or a discrepancy between what the public believes audit, and the capabilities of the actual audit process, which is limited by a certain framework. It should be noted that the problem of the gap in expectations exists in relation to the provision of any type of service, not just auditing, and service marketers pay a lot of attention to its study.

The reasons for the five levels of gap in expectations in auditing are identified:

- gap in the formation of expectations (the formation of the client’s inflated and/or causally unreasonable expectations);
- gap in knowledge (gap in auditors ‘awareness and perception of users’ interests, needs and expectations due to ignorance or misperception by auditors of what clients expect to receive, which leads to a gap between clients ‘expectations and auditors’ perception of such expectations);
- gap in standards (inability and / or unwillingness of auditors to set quality standards that meet customer expectations, with a completely correct understanding of them);
- service gap (inability of the audit firm to ensure quality of service that meets established standards);
- gap in communications (inconsistency of information on the nature of the audit, other assurance engagements, related and other services provided by auditors, their actual characteristics, which are provided by International Standards) [10].

Currently, the main focus in developing ways to improve the performance of various audit services is to reduce the «service gap» in order to ensure compliance with standards. But other reasons are also important: «gap in the formation of expectations» and «gap in communications», the gap in the awareness of auditors and their perception of user expectations («gap in knowledge»), overcoming which, in turn, should lead to changes in standards and in accordance with the reduction of the «gap in standards». In this case, the two gaps (the first or «gap in the formation of expectations» and the fifth or «gap in communications») actually have the same reasons, but it is the presence of the fifth gap creates a vicious circle, the result of which is: consolidation of primary inflated or as a whole incorrect expectations of users of the results of audit services; formation of new inflated or distorted expectations.

CONCLUSIONS.

Audit has significant potential as a social institution. Given this role, it is expected that its impact and performance should be taken into account when calculating international ratings, in particular in terms of assessing the institutional environment in general and protecting minority investors in particular.

Semantic analysis of the main international ratings showed that the audit is either ignored at all, in particular in the rankings Doing Business, Sustainable Development Index, or is mentioned only as one of the elements of assessing the complexity of the market - the Global Innovation Index. Only one index - the Global Competitiveness Index - takes into account the institution of audit in assessing the institution as an element of the accessible environment. According to the strength of auditing and accounting standards, Ukraine

ranks 118th out of 141 countries. This position of Ukraine, given the achievements in the field of auditing in the context of the application of International Standards and compliance with European standards need further research.

Therefore, we have a double problem, because, on the one hand, the audit is almost not taken into account in international indices, and on

the other - its consideration proves the existence of a large gap in expectations in terms of user perception of its results. The complexity of this problem is exacerbated by the lack of a unified approach to determining the purpose of the audit and the requirements for it, as well as information inconsistencies between the auditor, clients and other intended users.

ლიტერატურა/ REFERENCES

- [1] DoingBusiness–DataIrregularitiesStatement. URL: <https://www.worldbank.org/en/news/statement/2020/08/27/doing-business---data-irregularities-statement>.
- [2] Doing Business. Measuring Business Regulation. URL: <https://www.doingbusiness.org/en/doingbusiness>
- [3] Global Innovation Index 2021. Tracking Innovation through the COVID-19 Crisis. URL: https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2021.pdf.
- [4] Iermakova O.A. Svitovyi dosvid innovatsiinoho rozvytku v interesakh innovatsiinoi bezpeky Ukrainy [World experience of innovative development in the interests of innovative security of Ukraine]. Pryazovskyi ekonomichnyi visnyk - Priazovsky Economic Bulletin. 2017. Issue 5(05). P. 16-21.
- [5] International Federation of Accountants (IFAC/IAASB), (2016-2017). Supplement to the Handbook of International Quality Control, Auditing, Review, Other Assurance, and Related Services Pronouncements, Volume III, 2016-2017 Edition. URL: <https://www.ifac.org/publications-resources/2016-2017-handbook-international-quality-control-auditing-review-other>.
- [6] Makarenko I.O., Plastun O.L. Rol profesiinykh bukhhalteriv u dosiahnenni tsilei staloho rozvytku [The role of professional accountants in achieving sustainable development goals]. Skhidna Yevropa: Ekonomika, biznes, upravlinnia - Eastern Europe: Economy, Business, Management. 2017. Issue 3(08). P. 334-338.
- [7] Mandybura V.O. Vidnovlennia doviry subiektiv kintsevoho spozhyvannia yak skladova sotsialnoi vidpovidalnosti biznesu [Restoring the trust of final consumers as a component of corporate social responsibility]. Teoretychni ta prykladni pytannia ekonomiky - Theoretical and applied issues of economics. 2010. Issue 21. P. 55-68.
- [8] Pasko O.V. Spryniattia standartiv obliku i audytu korystuvachamy v konteksti formuvannia instytutysiinoi vidkrytosti v rehuliuanni [Perception of accounting and auditing standards by users in the context of the formation of institutional openness in regulation]. Oblik i finansy - Accounting and finance. 2017. Issue 1(75). P. 68-75.
- [9] Petryk O.A. Kontseptualni zasady obliku, audytu ta opodatkuvannia: suchasni vektory dlia dosiahnennia tsilei staloho rozvytku [Conceptual principles of accounting, auditing and taxation: modern vectors for achieving the goals of sustainable development]. URL: https://www.apu.com.ua/wp-content/uploads/2020/12/%D1%82%D0%B0%D1%86%D1%96%D1%8F-%D0%9A%D0%9D%D0%95%D0%A3-10.12.20_Def-1.pdf
- [10] Shalimova N., Androshchuk I. Development of Approaches to Definition, Classification and Evaluation of «Expectations Gap»: in the Broader Context of Engagements Provided by Certified Auditors. Audit Financiar. 2018. Vol. 16, Issue 152. P. 553-570.

- [11] Sustainable Development Report 2021. The Decade of Action for the Sustainable Development Goals URL: <https://s3.amazonaws.com/sustainabledevelopment.report/2021/2021-sustainable-development-report.pdf>.
- [12] The 2030 Agenda for Sustainable Development. A Snapshot of the Accountancy Profession`s Contribution / IFAC. URL: https://www.ifac.org/system/files/publications/files/The-2030-Agenda-for-Sustainable-Development-A-Snapshot-of-the-Accountancy-Professions-Contribution-2016_0.pdf
- [13] The Global Competitiveness Report 2019. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf .
- [14] The Global Competitiveness Report Special Edition 2020: How Countries are Performing on the Road to Recovery. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2020.pdf.
- [15] Tsili staloho rozvytku. Ukraina. 2020. Monitorynhovyi zvit [Goal Sustainable Development. Ukraine. International Report] URL: http://www.ukrstat.gov.ua/csr_prezent/ukr/st_rozv/publ/SDGs%20Ukraine%202020%20Monitoring_12.2020ukr.pdf.
- [16] World Bank Group to Discontinue Doing Business Report. URL: <https://www.worldbank.org/en/news/statement/2021/09/16/world-bank-group-to-discontinue-doing-business-report>.

JEL Classification: I18, H75

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.8.3.2021.75-84>

TRENDS, OPPORTUNITIES AND PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF MEDICAL TOURISM

SOPIO BAKURIDZE

PhD student,

Batumi Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

Email: sophiabakuridze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0001-7828-5171>

Recreational-medical tourism is one of the important and dynamically developing direction of tourism.

In recent years, there's a special aspiration to establish a healthy lifestyle. Health care and growth of vital activities have become an integral part of contemporary value system. The growth of the demand of medical-recreational tourism is related to the deterioration of environmental, ecological conditions on the one hand and on the other hand, it's connected with the increase of their standard of living and needs. The growing trend of tourism activities related to recreational, business, cultural, religious and recreational purposes is mentioned in preamble of global code of ethics for tourism. It's emphasized that the universal use of tourism products is the result of the right to rest and recreate.

In the article, there have been reviewed the opportunities, potentials and prospects for the development of one of the most important and dynamically developing direction - recreational-medical tourism in Georgia. Also there have been revealed the hindering factors. Getting acquainted with domestic and foreign literature has convinced us in priority of the mentioned direction, it showed us its importance not only in terms of health care, but also in terms of receiving economic benefits.

Despite of the fact that some steps have been taken forward for the development of recreational-medical tourism, it still needs the support from state structures, which is reflected in the development of the legislative base, in the improvement of infrastructure, in making appropriate personnel policies and others.

Keywords: Recreational tourism, Medical tourism, Tourism market, Trend, Infrastructure.

Edited by:

October, 2021

Reviewed by:

December, 2021

JEL Classification: I18, H75

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.8.3.2021.75-84>

სამედიცინო ტურიზმის განვითარების ტენდენციები, შესაძლებლობები და პერსპექტივები

სოფიო ბაკურიძე

დოქტორანტი,

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ.ფოსტა: sophiabakuridze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0001-7828-5171>

უკანასკნელ წლებში შეინიშნება განსაკუთრებული მისწრაფება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ. ღირებულებათა თანამედროვე სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივობების ზრდა. სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა დაკავშირებულია, ერთის მხრივ, გარემო პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან, მეორეს მხრივ კი, მათი ცხოვრების დონისა და მოთხოვნილების ამაღლებასთან.

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის პრეამბულაში აღნიშნულია ტურისტული საქმიანობის ზრდის ტენდენციის შესახებ, რომელიც უკავშირდება რეკრეაციულ, საქმიან, კულტურულ, რელიგიურ და გამაჯანსაღებელ მიზნებს. ხაზგასმულია, რომ ტურისტული პროდუქტებით საყოველთაო სარგებლობა წარმოადგენს დასვენებასა და რეკრეაციაზე უფლების შედეგს.

სტატიაში განხილულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დინამიურად განვითარებადი მიმართულების – რეკრეაციულ-სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, პოტენციური და პერსპექტივები, ასევე გამოვლენილია შემაფერხებელი ფაქტორებიც. სამამულო და უცხოური ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა აღნიშნული მიმართულების პრიორიტეტულობაში, გვაჩვენა მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, არამედ ეკონომიკური სარგებლის მიღების თვალსაზრისითაც.

მიუხედავად იმისა, რომ რეკრეაციულ-სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, ის მაინც საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მხარდაჭერას, რაც გამოიხატება საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, შესაბამისი საკადრო პოლიტიკის გატარებაში და სხვა.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციული ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, ტურიზმის ბაზარი, ტენდენცია, ინფრასტრუქტურა.

შემოსულია რედაქციში:

ოქტომბერი, 2021

რეცენზირებულია:

დეკემბერი, 2021

მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ და იმავდროულად მოსახლეობის ყველა ფენაში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტექნოლოგიების, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმართ ინტერესის გაღვივებამ გამოიწვია ტურიზმის ახალი, პერსპექტიული მიმართულებების წარმოშობა. მათგან აღსანიშნავია სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი, რომელიც ტურისტულ ადგილებში ვიზიტის პარალელურად მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების მიღებას გულისხმობს. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ სამკურნალო ოპერაციებით, ქირურგიული ჩარევებით, არამედ გულისხმობს წინაპროფილაქტიკური ან მათი თანმდევი პროცედურების კომპლექსსაც, კერძოდ: ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკას, დაავადებათა საწყის ეტაპზე პრევენციულ დიაგნოსტიკას, გადატანილი გართულებებისა თუ ოპერაციების შემდგომ რეაბილიტაციას.

სამედიცინო ტურიზმის, როგორც სრულფასოვანი ტურისტული სფეროს ჩამოყალიბების ეტაპად მიჩნეულია 21-ე საუკუნე, როცა გლობალური პროცესების, ტურისტებისთვის სატრანსპორტო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინტერნეტ და სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციათა სწრაფი გაცვლის შესაძლებლობით, ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა სხვა ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მიღება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, გამოიწვია ტურისტული მომსახურების ბაზრის სეგმენტის წარმოქმნა, რომელიც ხასიათდება მომხმარებელთან სპეციფიკური ურთიერთობით, ძირითადი თუ თანმხლები მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიური საფუძვლებით.

სამედიცინო ტურიზმი ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილი სფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტ-ნაკლებად ახალი დარგია, ძალიან სწრაფად ვითარდება. სამედიცინო ტურიზმის განვითარე-

ბა ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს ეფექტიან ფუნქციონირებას, როგორცაა სამედიცინო სექტორი[1].

თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პირობებში საჭიროება მოითხოვს, განვითარდეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებები, რომ ქვეყანამ შეძლოს მასში არსებული რესურსის მაქსიმალურად გამოყენება, ეს იქნება სამეცნიერო, საკადრო, საორგანიზაციო პოტენციალი თუ სხვა. ამ ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ჯანდაცვის რესურსმა, რომელიც თავის თავში გულისხმობს სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

ზოგიერთი მონაცემით 2004-2012 წლებში სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავლები 40 მილიარდიდან 0,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა და მთლიანი ტურიზმის შემოსავლების (\$ 3.2 ტრილიონი) 14% შეადგინა. 2012 წელს, სამედიცინო ტურიზმმა გლობალური მშპ-ის 1.8% შეადგინა. დღეისთვის სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ფინანსური მოცულობა შეადგენს 439 მილიარდ ამერიკულ დოლარს, ანუ 8–10 წელიწადში გაიზარდა 11–ჯერ. ზოგიერთი პროგნოზის თანახმად სამედიცინო ტურიზმის მსოფლიო ბაზარი 2021–2026 წლებში საშუალოდ 10 %-ით გაიზარდება [9].

საგულისხმოა ასევე სხვა ქვეყნებში სამედიცინო დახმარების მისაღებად გასული ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენციაც, რომელიც დღითიდღე იზრდება. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საზღვარგარეთ სამკურნალოდ წავიდა 11 მილიონზე მეტი ადამიანი. 2025 წლისთვის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ სამედიცინო ტურიზმის ფინანსური ბაზრის მოცულობა 3 ტრილიონი ამერიკული დოლარით გაიზარდება. ამ კუთხით სპეციალიზებული სააგენტოების ანგარიშის მიხედვით, უახლოეს ათ წელიწადში მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის ფინანსური მაჩვენებლის

წელიწადში 25%-იანი ზრდაა ნავარაუდები. სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიისა და ჯანდაცვის განვითარების ეს მაჩვენებელი ეფუძნება კვლევებს, რომელთა მიხედვითაც დედამიწის მოსახლეობის 3-4% საზღვარგარეთ მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით იმოგზაურებს [6].

ბოლო წლებში სამედიცინო ტურიზმის მზარდ პოპულარობაზე გავლენა იქონია მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის: ინდუსტრიულ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდა, საერთაშორისო მოგზაურობის გაადვილება და გაიფება, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფად გაუმჯობესებული ტექნოლოგია და მომსახურების სტანდარტები. სამედიცინო ტურისტები დღეს ძირითადად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებიდან არიან და ქვეყნები, სადაც ისინი მიემგზავრებიან ნაკლებად განვითარებულია და ვალუტის გაცვლის შეღავათიანი კურსი აქვთ.

რეკრეაციული და სამედიცინო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ამ სფეროს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისითაც, მისი მართვის სწორად დაგეგმარებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება [7].

იმ ქვეყნებში, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმია განვითარებული, ჯანდაცვის ეს მიმართულება ეკონომიკის დამოუკიდებელ სფეროდაა მიჩნეული, ვინაიდან ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებათა ფინანსურ მდგრადობასა და შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სამედიცინო პერსონალის ღირსეული ანაზღაურებითა და სამუშაო პირობებით უზრუნველყოფას, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე [6].

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედი-

ცინო მომსახურების გაწევა მთლიანად ფასიანი მომსახურებაა, მოითხოვს სწორ ორგანიზებას და მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი სამედიცინო პროდუქტების მიწოდებას, რომელიც შეუძლებელია ქვეყნის სამედიცინო სფეროში მასშტაბური ფინანსური ინვესტიციების გარეშე. ამ სფეროს ორგანიზებისთვის კი საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა და სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზების ეფექტური მექანიზმები.

შემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს თურა დიდი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია ამ სფეროს განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის.

იმისთვის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამედიცინო დახმარებით უზრუნველსაყოფად მივიღოთ სწორი სახელმძღვანელო გადაწყვეტილებები, აუცილებელია სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზება და მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნა.

ბოლო პერიოდის პანდემიურმა ვითარებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას და უპრეცედენტო მასშტაბის გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზი გახდა, რაც გამოიხატა საერთაშორისო მიმოსვლასა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობის შემცირებაში. ტურიზმის სექტორის დანახარჯები პანდემიამდე პერიოდში მსოფლიოს მშპ-ის 10%-ს აღწევდა [14]. პანდემიის ფონზე შექმნილი ვითარების გამო ტურიზმზე დამოკიდებული მცირე ეკონომიკის ქვეყნები გაზრდილი საგარეო დისბალანსისა და ფისკალური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა და მათ მიერ ქვეყანაში დახარჯული თანხა. მაგალითისათვის, 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 7.7 მილიონს მიაღ-

წია, ხოლო საერთაშორისო მოგზაურებისაგან მიღებული შემოსავლები 3.3 მილიარდ დოლარს გაუტოლდა და მშპ-ის 18.7% შეადგინა [4] (დიაგრამა 1).


ნო წელსაც თითქმის არ შეცვლილა (დიაგრამა 2). პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა გამოვლინდა ტურიზმთან დაკავშირებულ მომსახურების სხვადასხვა დარგებში, რაც უპირველ-

დიაგრამა 1. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები და საერთაშორისო მოგზაურებისაგან მიღებული შემოსავლები.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დიაგრამა 2. გარე და შიდა ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს გარე ტურიზმის აქტივობით შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში 12,1%-ს აღწევდა, 2020 წლისათვის კი 2%-მდე დაეცა, ხოლო ადგილობრივი ტურიზმის წილი ბოლო წლებში 2,5%-ის ფარგლებში მერყეობდა და მომდევ-

სად აისახა უმუშევრობის ზრდაში, რამაც უმუშევრობის დონე 3,8%-ით გაზარდა და 20,4%-ს მიაღწია [5].

ამ ვითარების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის რეალური გზის გამონახვა,

რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი. მნიშვნელოვანია, გაკეთდეს ანალიზი, დღევანდელი ატიპური ეკონომიკური კრიზისის პირობებში რა რეალური შესაძლებლობები არსებობს რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარებისთვის.

სამედიცინო ტურიზმის ბაზარი, როგორც ტურიზმისა და ჯანდაცვის სისტემის ინდუსტრიის ნაწილი, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. რადგან სახელმწიფო რეგულირების ორგანოებიდან თუ სამეწარმეო სტრუქტურების მხრიდან სწორედ დროული და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე დამოკიდებული მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება.

გამაჯანსაღებელი ტურიზმის ბაზარი, როგორც სერვისის მიმწოდებელი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, დღეს კრიზისულ მდგომარეობაშია. ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მიზეზად კი შესაძლოა დასახელდეს მოსახლეობის შემოსავლის კლება და არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, კრიზისული მდგომარეობა, საიდანაც არსებობს ერთადერთი გამოსავალი - გონივრული მართვა და სწორი გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლებლობას, ასევე პირად ინიციატივებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ცვლილებები ორგანიზებასა და ბიზნესპროცესების მართვაში.

უნდა აღინიშნოს. რომ სამედიცინო ტურიზმს დიდი პერსპექტივა აქვს და განიხილება, როგორც კონკრეტული რეგიონის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი. იმისთვის, რომ საქართველოში მაქსიმალურად ამუშავდეს სამედიცინო ტურიზმი პირველ რიგში აუცილებელია იმ შემთავრებული

ფაქტორების ანალიზი, რომლებიც აბრკოლებენ მის განვითარებას [2].

უმთავრესად უნდა გამოვყოთ სამედიცინო ტურიზმის სფეროში არსებული ძლიერი კონკურენცია. ისეთ ქვეყნებს, სადაც ტურიზმში დიდძალი ინვესტიცია იდება და სამედიცინო მომსახურების ხვადასხვა სახეობის შეთავაზება შეუძლიათ, ჩვენ კონკურენციას ვერ გავუწევთ. ამ თვალსაზრისით, საქართველო მულტიპროფილურად საინტერესო ვერ გახდება.

საქართველოში სამკურნალო ტურიზმის განვითარების შემთავრებული ფაქტორია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. არასაკმარისადაა განვითარებული სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელი, რის შედეგადაც, ფერხდება ტურისტების უზრუნველყოფა შესაბამისი საცხოვრებელი სერვისით. მაღალი მომსახურების სასტუმროებით კლიმატური კურორტები ძირითადად მაღალმთიან რაიონებში მდებარეობს, სადაც ნაკლებადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა. სატრანსპორტო სისტემაში, გართობასა და კვების ინდუსტრიაში არსებული ვითარებაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მიუხედავად ბოლო წლებში არსებული გაუმჯობესების ტენდენციისა, მაღალმთიან რეგიონებში უმეტესად მოუწესრიგებელია საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ნაკლებადაა განვითარებული შიდა ავიარეისები, სამდინარეო და საზღვაო ტრანსპორტი, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას.

სანაპირო ზოლის ზოგიერთ მონაკვეთზე განსაკუთრებით არაადაკმაყოფილებელი სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობაა. რეგულარულად არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე, ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე წყლებით. ეს ყველაფერი არის სერიოზული პრობლემა, რომელიც გავლენას

ახდენს დამსვენებელთა მოზიდველობის გარემოზე.

საქართველოს სამედიცინო ტურიზმის პოტენციალის შესახებ არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა. მწირია სამკურნალო კურორტების რეკლამაც.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან პაციენტების რაოდენობის ზრდა, რომლებიც მათი ქვეყნების გარეთ იღებენ სამედიცინო დახმარებას, აუცილებლად მოითხოვს იმ შუამავალი კომპანიების სერვისის განვითარებას, რომლებიც მკურნალობის მისაღებად კომპლექსურ მომსახურებას გთავაზობენ ქვეყნებისა და სამედიცინო ორგანიზაციების შერჩევას. მათი შუამავლობით ხდება ტურისტების მიღება და მათთვის დამატებითი მომსახურების გაწევაც. შუამავლები სამედიცინო ტურიზმში მოდერატორის როლს ასრულებენ პოტენციურ პაციენტებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებებს შორის.

ჩვენის აზრით, ქვეყნის ჯანდაცვის სტრუქტურა, შესაბამისი ობიექტების განლაგება და საჭირო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოქმედებს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე, ვინაიდან მედიცინის სექტორი უშუალოდ უკავშირდება სამედიცინო ცენტრების მატერიალურ მდგომარეობას, ტექნოლოგიურ აღჭურვილობასა და პერსონალის კვალიფიკაციას, სახალხო მედიცინის აღიარებითობას, სამედიცინო მომსახურების მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობასა და საერთაშორისო სერტიფიცირების კრიტერიუმებს.

სამედიცინო ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნებია - კანადა, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, კორეა, ინდოეთი. ევროპაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებით ლიდერ ქვეყნებად მიიჩნევა - გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი. ასევე განსხვავებულია პრიორიტეტები, რომელთა გამოც ტურისტები კონკრეტულ ქვეყანაში მოგ-

ზაურობას ირჩევენ. მაგალითად, ამერიკის მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით ქვეყნიდან გასვლის მიზეზი ძირითადად არის მომსახურების ფასი და ის, რომ შესაძლოა დაზღვევა არ ფარავდეს რომელიმე კონკრეტულ სერვისს, მისი რეალური საფასურის გადახდა კი მოსახლეობას არ შეუძლია. ამიტომ ამ დახმარებისთვის ისინი სხვა ქვეყანას მიმართავენ. ამერიკის მოქალაქისთვის სწორედ მომსახურების ფასია მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ მოტივით ყოველწლიურად მილიონ-ნახევარზე მეტი ამერიკის მოქალაქე გადის ქვეყნიდან. რუსეთის მოქალაქეების პრიორიტეტები უმეტეს შემთხვევაში ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სიახლეებს გულისხმობს. გარდა ამისა, ამ არჩევანზე გავლენას ახდენს მისაღები ფასისა და ხარისხის კომბინაცია. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით 2020–2021 წლებში, სამედიცინო ტურიზმის საუკეთესო მიმართულებების თვალსაზრისით, პირველ ათეულში შედიან შემდეგი ქვეყნები: კანადა, სინგაპური, იაპონია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, დუბაი, ისრაელი, აბუ დაბი, ინდოეთი[11].

იმ ქვეყნებში, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული, ინფრასტრუქტურა განვითარდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შემუშავდა საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი. ამის კარგი მაგალითია სამხრეთ კორეა, სადაც სწრაფი ტემპით ვითარდება სამედიცინო ტურიზმი. სამედიცინო ტურიზმის გლობალურ მსოფლიო რეიტინგში ამ ქვეყანას მეექვსე ადგილი უკავია. ტექნიკური აღჭურვილობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის კუთხით კი კორეის კლინიკები მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე ადგილს იჭერს. მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა, მაღალი დონის სპეციალისტები, სამედიცინო მომსახურების კონტროლის მკაცრი სისტემა, და იაპონიასთან,

აშშ-სთან, ისრაელთან და გერმანიასთან შედარებით დაბალი ფასები ამ ქვეყანას სამედიცინო ტურისტებისთვის მომხიბვლელს ხდის. ჯანდაცვის სისტემა აქ აუცილებელი სამედიცინო დაზღვევისა და სახელმწიფო სუბსიდიის ხარჯზე ფინანსდება. კლინიკების პერსონალი გამოირჩევა გულისხმიერებითა და ყურადღებიანი მომსახურებით, ფლობენ რამდენიმე უცხო ენას - ინგლისურს, რუსულს, ესპანურს, ჩინურს, იაპონურს, მონღოლურს და არაბულს. სხვა ენებიდან თარგმანისთვის იწვევენ სპეციალისტებს. სამედიცინო ტურისტების ამ ქვეყნით დაინტერესება წლიდან წლამდე იზრდება. 2018 წელს მათმა რიცხვმა 400 ათასს მიაღწია, როცა 2007 წელს მხოლოდ 15 ათასს ითვლიდა. ხოლო შემოსავალი ამ სექტორიდან 1,4 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევს[9]. აქ სამედიცინო ტურისტები ძირითადად ჩინეთიდან, აშშ-დან, რუსეთიდან და იაპონიიდან შედიან.

სამედიცინო ტურიზმის განვითარების

შესაბამისობა, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა, რასაც ეს ქვეყანა აღწევს მომსახურების მწყობრი, დალაგებული სისტემის წყალობით. ამ ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყნის ტერიტორიული მდებარეობა, ევროპის ცენტრში. სამედიცინო ტურისტებს აქ ისიც ხიბლავთ, რომ არ უწევთ რიგში ლოდინი, რაც მაგალითად, ახასიათებს დიდ ბრიტანეთსა და კანადას.

2020 წლის 15 ივლისს სამედიცინო კვლევების საერთაშორისო ცენტრმა (IHRC) გამოაქვეყნა თავისი წამყვანი ინსტრუმენტის – Medical Tourism Index–ის 2020–2021 წლების რეიტინგი (ცხრილი 1.). აღნიშნული რეიტინგი ფორმირდება 41 კრიტერიუმის საფუძველზე, რომლებიც აირჩევა შემდეგი ფაქტორების საუძველზე: ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარების მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ქვეყნის ტერიტორიაზე ტურიზმის გარემო[10].

ცხრილი1. MTI ინდექსის ცვლილების დინამიკა 2014–2021 წწ.

ქვეყანა	2014–2015		2016–2017		2020–2021	
	ინდექსი	ადგილი	ინდექსი	ადგილი	ინდექსი	ადგილი
კანადა	76.9	1	76.62	1	76,47	1
დიდი ბრიტანეთი	74,8	2	74,87	2	71,92	5
ისრაელი	74,2	3	73,91	3	70,92	8
სინგაპური	74	4	73,56	4	70,78	2
ინდოეთი	67,5	18	72,10	5	76,43	10

წყარო: <https://www.researchandmarkets.com/reports/5353411/medical-tourism-market-global-industry-trends#rela1-5321506> [13].

თვალსაზრისით ევროპის ერთ-ერთი ფავორიტია გერმანია. აქ წელიწადში 70 ათასი სამედიცინო ტურისტი ჩამოდის. ტურისტების ასეთ ნაკადზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შენობათა მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა და სამედიცინო ცენტრების აღჭურვილობა, სამედიცინო მომსახურების მაღალი ტექნოლოგიები, ფასისა და ხარისხის

აღნიშნული ინდექსის ანალიზის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყანაში შემოსული სამედიცინო ტურისტის რაოდენობის შედარების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ კუთხით ლიდერობს კანადა. ლიდერ პოზიციაზეა ისრაელიც, რომელიც წელიწადში 30 000–ზე მეტ უცხოელ სამედიცინო ტურისტს მასპინძლობს (2020–2021 წლის მსოფლიო

რეიტინგში მე-8 ადგილი უჭირავს). ისრაელი დიდ რესურსს ღებს საერთაშორისო დონეზე ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის მარკეტინგის განვითარებისთვის. უცხოელი პაციენტების მოსაზიდად მარკეტინგის გამოყენების ეფექტურობა დასტურდება სხვა ქვეყნების მაგალითებითაც. ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიო რეიტინგში სამედიცინო მომსახურების ხარისხითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობით. ისრაელი წარმოადგენს ძირითად ადგილს სამედიცინო ტურისტების მოსაზიდად ახლო აღმოსავლეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან, სნგ-ის ქვეყნებიდან და აფრიკიდან. სამედიცინო ტურიზმის ბაზარი შეფასებულია 280 მილიონ დოლარად[11].

ისრაელის სამედიცინო ტურიზმი ხასიათდება თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით. ყველაზე ხშირად აქ ჩაღიან გულის ოპერაციისთვის, კიბოს სამკურნალოდ, ძვლის ტვინის გადასაწერგად და ექსტრაკორპორალური განაყოფიერებისთვის. თუმცა აქ სამედიცინო მომსახურებაზე ფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე აზიის სამედიცინო ტურიზმის ლიდერ ქვეყნებში.

სამედიცინო ტურიზმის წარმატებას, როგორც წესი, განაპირობებს ამ სექტორის მიმართ ქვეყნის პოზიცია, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, მოქმედი სამედიცინო ცენტრების არსებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ ISO-ის ხარისხის სტანდარტს ან აქვთ JCI-ის აკრედიტაცია, ასევე ქვეყანაში სამედიცინო ტურისტების შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის მარტივი პირობები.

სამედიცინო ტურიზმის განვითარება დიდადაა დამოკიდებული მარკეტინგულ პროგრამებსა და მის თანმდევ მომსახურებებზე, რომლის საშუალებებითაც პაციენტს ეხმარებიან მკურნალობის ადგილის შერჩევაში, მომა-

ვალ ექიმთან კონტაქტში და დოკუმენტების მომზადებაში. ძალიან ბევრი კლიენტი სრულ ნდობას უცხადებს სამედიცინო აგენტის რეკომენდაციებს.

სახელმწიფო მხარდაჭერასა და მაღალი კოორდინაციის სრულყოფილ სისტემას შეუძლია ტურისტების ახალი ნაკადების მოზიდვა, რომელთაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ მსგავსი მოგზაურობის დაგეგმვა. ამ მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ბევრ ქვეყანაში განვითარებულია საპაკეტო მომსახურება, რომელიც მოიცავს გამგზავრების ორგანიზებას, სავიზო პრობლემების გადაჭრას და პაციენტს სთავაზობენ ფასდაკლებებს სხვადასხვა მომსახურებაზე. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს სამედიცინო აგენტების საქმიანობა განვითარებად ქვეყნებში.

ჩვენის აზრით, სამედიცინო ტურიზმს განვითარების ხელისშემწყობი ფაქტორებია:

- ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ინტეგრაცია, სამედიცინო ცენტრების თანამედროვე მოწყობა, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების ფასისა და ხარისხის ოპტიმალური შესაბამისობა;
- სხვა ქვეყნებთან შედარებით მომხმარებლისთვის დაბალი ფასის შეთავაზება;
- ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა;
- თანამედროვე განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის რეპუტაცია;
- ჯანდაცვის სფეროში ინოვაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა;
- თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკებისა და ტექნოლოგიის წარმატებული გამოყენება;

- თანამედროვე სტანდარტით მომზადებული გამოცდილი მედიკოსონალი, რომელიც ფლობს ლინგვისტურ უნარებს და აქვს შესაბამისი სასერვისო მომზადება;
 - სახალხო მედიცინის აღიარებული მმართველების განახლება;
 - წყლები, დასასვენებელი ადგილები, სამკურნალო ტალახები და სხვა.
- ამრიგად, მომავლისათვის ტურიზმის დარ-

გში მნიშვნელოვანი გახდება თვისობრივად განსხვავებული „ახალი რეალობის“ ეტაპობრივად განვითარება, მდგრად ტურისტულ მოდელებზე გადასვლა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება. ერთ-ერთ უალტერნატივო ტურისტულ მოდელად კი – საფუძვლიანად მიგვაჩნია რეკრეაციული და სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების ზრდა და მისი პოტენციალის გამოყენება.

REFERENCES/ ლიტერატურა

- [1] **ბაკურიძე სოფიო**, ინტეგრაციული ურთიერთობების თავისებურებები რეგიონული სამედიცინო მომსახურების ბაზარზე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4, 2017წ. გვ. 101.
- [2] **ვერულავა თენგიზ**, ადამიანის ჯანმრთელობა – ეკონომიკური ზრდის საფუძველი (საქართველოს მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები. თსუ, 2016.
- [3] **ფარესიშვილი ოთარ, კვარაცხელია ლაურა, მირზაევი ვალენტინა**, სამედიცინო (სარეაბილიტაციო) ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში. ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, იანვარ-ივნისი, 2020წ.
- [4] წლიური ანგარიში 2020, საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ. 47.
- [5] **Bloom David E., Kuhn Michael, Prettner Klaus**. Health and Economic Growth. IZA – Institute of Labor Economics, NOVEMBER 2018, Bonn, Germany. <https://ftp.iza.org/dp11939.pdf>
- [6] **Grossman, M.** The demand for health: a theoretical and empirical investigation. New York, Columbia University Press, 1972. <https://www.nber.org/books-and-chapters/demand-health-theoretical-and-empirical-investigation>
- [7] **Weil David N.**, Health and Economic Growth. Brown University and NBER, USA. Handbook of Economic Growth, Volume 2B. 2014. https://cpb-us-w2.wpmucdn.com/sites.brown.edu/dist/1/24/files/2018/10/Chapter-3-Health-and-Economic-Growth_2014_Handbook-of-Economic-Growth-1u57nrx.pdf
- [8] **Dalen James E., MD, MPH, ScD (Hon) Joseph S. Alpert**, MD Medical Tourists: Incoming and Outgoing. The American Journal of Medicine. Commentary, 2018. [https://www.amjmed.com/article/S0002-9343\(18\)30620-X/pdf](https://www.amjmed.com/article/S0002-9343(18)30620-X/pdf)
- [9] The Future of Wellness 2020. Global Wellness Trends Report. <https://www.globalwellnesssummit.com/wpcontent/uploads/2020/01/GlobalWellnessTrends2020.pdf>
- [10] The Medical Tourism index 2020-2021. <https://www.medicaltourism.com/mti/home>.
- [11] WELLNESS INDUSTRY STATISTICS & FACTS. [HTTPS://GLOBALWELLNESSINSTITUTE.ORG/PRESS-ROOM/STATISTICS-AND-FACTS/](https://GLOBALWELLNESSINSTITUTE.ORG/PRESS-ROOM/STATISTICS-AND-FACTS/)
- [12] **Erkomaishvili Gulnaz**, Medical Wellness Resorts – Brend code of Georgia in theWorld. BATUMI 2017. PP.129-133.
- [13] Medical Tourism Market: Global Industry Trends, Share, Size, Growth, Opportunity and Forecast 2021-2026 <https://www.researchandmarkets.com/reports/5353411/medical-tourism-market-global-industry-trends#rela1-5321506>.
- [14] <https://www.imf.org/en/News/Articles/2021/02/24/na022521-how-to-save-travel-and-tourism-in-a-post-pandemic-world>.
- [15] <https://www.geostat.ge/ka>

JEL Classification: L60, L83, O14, O18, R11, Z31, Z32
DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.8.3.2021.85-91>

THE ROLE OF WINE TOURISM IN THE DEVELOPMENT OF SMALL FAMILY WINERIES DURING THE PANDEMIC

TSITSI TSATSKRIALASHVILI

PhD student in Business Administration
Caucasus International University

Tbilisi, Georgia

Email: tsitsatskrialashvili@gmail.com

[https://orcid.org/0000-0001-8247-](https://orcid.org/0000-0001-8247-5920)

5920

During the pandemic in Georgia, the construction of a family wine cellar is associated with great risks, unstable environment and lack of tourists, severe restrictions in the country and economic hardship, low level of education give a chance to startup businessman's do not build the cellar. Also noteworthy is the culture of properly hosting wine tourists and following the rules that most owners of small wine cellars are unaware of. The observation of foreign wine experts on small family wineries will allow us to understand the real problems, whether the small winery is ready to host tourists today.

The observation of wine experts on small family wineries will allow us to understand the real problems, whether the small winery is ready to host tourists today.

The study included observations on 7 small wine cellars, the research revealed the opinions of foreign wine experts, named the problems of small family wineries, found ways to solve these problems, concluded and made recommendations.

Using statistics, fundamental research will make it much easier for start-ups interested in this field, working for young entrepreneurs, to develop their business and activities with less risk and financial losses.

Keywords: Wine tourism, Small family wineries, Small business development, Covid 19 pandemic, Wine tourists.

Edited by:

October, 2021

Reviewed by:

December, 2021

JEL Classification: L60, L83, O14, O18, R11, Z31, Z32
DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.8.3.2021.85-91>

პანდემიის პერიოდში ღვინის ტურიზმის როლი მცირე საოჯახო მარნების განვითარებაში

ციცი ცაცკრიალაშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების

დოქტორანტი

კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: tsitsatsatskrialashvili@gmail.com

com

<https://orcid.org/0000-0001-8247-5920>

საქართველოში პანდემიის პერიოდში ღვინის საოჯახო მარნის მშენებლობა დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, არასტაბილური გარემო და ტურისტების არარსებობა, მკაცრი შეზღუდვები ქვეყანაში და ეკონომიკური სიღუფე, მეღვინეობის დარგის უცოდინრობა, განათლების დაბალი დონე ეს ყველაფერი ერთობლიობაში აძლევს მნიშვნელოვან მიზეზს დამწყებ ბიზნესმენებს, რომ თავი შეიკავონ მარნის მშენებლობისგან. ასევე მეტად საყურადღებოა ღვინის ტურისტების სწორად გამასპინძლების კულტურა და წესების დაცვა, რაც ღვინის მცირე მარნების მფლობელების უმეტესმა ნაწილმა არ იცის. უცხოელი ღვინის ექსპერტების დაკვირვება მცირე საოჯახო მარნებზე კი საშუალებას მოგვცემს გავიგოთ რეალური პრობლემები, არის თუ არა დღეს მცირე მარანი ტურისტების გამასპინძლებისთვის მზად.

კვლევა მოიცავდა 7 ღვინის მცირე მარნებზე დაკვირვებას, კვლევის შედეგად გამოვლინდა უცხოელი ღვინის ექსპერტების მოსაზრებები, დასახელდა მცირე საოჯახო მარნის პრობლემები, მოხდა ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, დასკვნა და რეკომენდაციები.

ახალი სტატისტიკის, ფუნდამენტური კვლევების გამოყენებით ბევრად მარტივი გახდება ამ სფეროთი დაინტერესებული დამწყები სტარტაპერებისთვის, ახალგაზრდა ბიზნესმენებისთვის მოღვაწეობა, ნაკლები რისკებითა და ფინანსური დანაკარგებით განავითარონ თავიანთი ბიზნესი და საქმიანობა

შემოსულია რედაქციში:

ოქტომბერი, 2021

რეცენზირებულია:

დეკემბერი, 2021

საკვანძო სიტყვები: ღვინის ტურიზმი, მცირე საოჯახო მარნები, მცირე ბიზნესის განვითარება, Covid 19-ის პანდემია, ღვინის ტურისტები.

შესავალი

თემის აქტუალობა: ღვინის ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკისა და ძლიერი სოფლის, რეგიონის გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესი და მეტად აქტუალური დარგია, რომლის განვითარებაც პირდაპირ კავშირშია მცირე საოჯახო ტიპის მარნების განვითარებასთან, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის და სარგებლის მიღებასთან, ასევე ღვინის სამშობლოს სტატუსის ღირსეულად შესანარჩუნებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის განვითარებასაც ჭირდება ერთობლივი ძალისხმევა და თანამშრომლობა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე კერძო სექტორის თანაბარი ჩართულობა.

პანდემიის პერიოდში მცირე საოჯახო მარნები დიდი გამოწვევების წინაშე არიან, თითქმის ნახევარზე მეტმა მცირე მარანმა ფუნქციონირება/წარმოება დროებით შეწყვიტა.

მნიშვნელოვანია კვლევებით დავეხმაროთ მცირე მარნების მფლობელებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ დღეისათვის არსებულ პრობლემებს, როგორ დახვდნენ მომზადებულები მომსახურების და გამასპინძლების კუთხით განსაკუთრებით ღვინის ტურისტების სურვილებს, ტრადიციებს.

კვლევის მიზანია მცირე მარნების განვითარებისთვის შესწავლილ იქნას ის პრობლემები, რაც განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში მცირე მარნების მფლობელებს შეექმნათ, ასევე უცხოელ ღვინის ექსპორტების მიერ დაკვირვება მცირე საოჯახო მარნებზე, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოში ღვინის ტურისტებისთვის. აუცილებელია განისაზღვროს მათი მოტივაციის ფაქტორები, ინტერესი და ცოდნა თუ რას ფლობენ საქართველოს ღვინოზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**: **1.** მცირე მარნების პრობლემების გამოვლენა და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

2. უცხოელი ღვინის ექსპორტების მიერ კვლევა და მოსაზრებები ქართულ მცირე საოჯახო მარნებზე; **3.** ძირითადი კვლევის კითხვარის შედგენა; **4.** კვლევის დიზაინის ჩამოყალიბება და მეთოდოლოგიის განსაზღვრა; **5.** კახეთის 4 დღიანი ღვინის ტურის ანალიზი და შეჯამება.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე **კვლევის საგანია** უცხოელი ღვინის ექსპორტების ქვეყის შესწავლა, რომლებისთვისაც ღვინისგან მიღებული სიამოვნების განცდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის აქტივობაში (იგულისხმება: მარნებში სტუმრობა, დათვალიერება, ვენახების, ღვინის ფესტივალებზე, ღონისძიებებზე დასწრება, ღვინის დაგემოვნება და შექმნა. **კვლევის ობიექტი** კი გახლავთ, ღვინის მცირე საოჯახო მარნების პრობლემების გამოვლენა და ამ პრობლემების დროულად აღმოფხვრა

სამეცნიერო სიახლე: **1.** უცხოელი ღვინის ექსპორტების დაკვირვება ქართულ მცირე საოჯახო მარნებზე **2.** უცხოელი ღვინის ექსპორტების მოტივაციის მიმნიჭებული ფაქტორების გამოვლენა მცირე მარნებში **3.** მცირე საოჯახო მარნის კვლევა და პრობლემების გამოვლენა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ღვინის ტურიზმმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია, როგორც სამრეწველო, ასევე აკადემიური წრეების მხრიდან. ღვინის ტურიზმი არის ჰიბრიდული საქმიანობა, რომელიც აერთიანებს ტურიზმისა და ღვინის ინდუსტრიებს. ღვინის მრავალი რეგიონი და ღვინის მწარმოებელი ცდილობს ხარისხიანი ღვინო აწარმოოს და უმასპინძლოს ღვინის ტურისტებს თავიანთ ღვინის ქარხნებში.

„ღვინის ტურიზმი არის უდიდესი ბიზნესი მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით აშშ-ში.

2006 წლის ეკონომიკური კვლევები კალიფორნიის ღვინის შესახებ გვამცნობს, რომ 1,9

მილიონი ადამიანი სწორედ ღვინის მწარმოებელ რეგიონს ეწვია.“[1]

„ღვინო, ღვინის რეგიონი და ღვინის მწარმოებლები ღვინის ტურიზმის პროდუქტის ძირითადი ელემენტებია. ღვინის ტურიზმის წარმატებული გამოცდილება დამოკიდებულია მწარმოებლების იდეაზე, როგორც ღვინის ქარხნებში სტუმრობაზე, ასევე ღვინის ხარისხზე და რეგიონულ მიმზიდველობაზე. მეორეს მხრივ, ტურიზმი ხშირად მეორეხარისხოვანი პროდუქტია ღვინის მწარმოებლებისთვის, რომელთა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ვენახის სიდიდეზე და ღვინის წარმოების მოცულობაზე.“[2]

